



მუშათა და გლეხთა მთავრობის

განმონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
ხაზმითა მმართველობის გამოსცემა

1934 წ. აპრილის 15.

№ 2

მუშაობის

შ ი ნ ა რ ს ი

სახელმწიფო მმართველობა

38. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ეროვნული საბასპორტო სისტემის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული 1933 წლის ივლისის 27-ის დადგენილების მე-III კარის მოქმედების 1934 წ. იანვრის 15-მდე განგრძობის შესახებ.

სამხედრო საქმე

39. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგში 1911 წელს დაბადებულ მოქალაქეთა ზადგენის შედეგების შესახებ.

სამოქალაქო სამართალი

40. „რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის დადებული ხელშეკრულებების მოქმედებისა და შეცვლის წესის თაობაზე“ გამოცემული 1932 წლის ნოემბრის 22-ის დადგენილებათვის მე-3 და 4 მუხლების დამატების შესახებ.

მრეწველობა

41. 1934 წლის იანვრის 1-თვის სოციალისტური მრეწველობის სამრეწველო საწარმოთა დადგენილებულ საერთო რეგისტრაციის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა

42. 1934 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ზეგმის შესახებ.

43. 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და ცხოველთა მავნებლების და სენთან ბრძოლის ორგანიზაციის შესახებ.

44. 1934 წლის სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

45. სააგარაკო-საბაღ-ბოსტნო კოოპერაციის შესახებ.

46. ქ. ქუთაისში არამშრომელი მოსახლეობის ბინების შემჭიდროების შესახებ სამხედრო უწყებისა და პედაგოგიკური ინსტიტუტის მომუშავეთა მოსათავსებლად.

შრომა

47. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებული შრომის მომწესრიგებელი კომისიის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

დროებითი დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებული შრომის მომწესრიგებელი კომისიის შესახებ.

ქორწინება, ოჯახი, მეურნეობა

48. მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურისა და შტატების შესახებ.



## სახელწიფო მმართველობა

### 38. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი საპასპორტო სისტემის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული 1933 წლის ივლისის 27-ის დადგენილების მე-III კარის მოქმედების 1934 წ. იანვრის 15-მდე განგრძობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენენ:

#### I.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი საპასპორტო სისტემის ჩატარების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1933 წ. ივლისის 27-ის დადგენილების მე-III კარის მოქმედება (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-18 №-ი, მუხ. 246; გაზ. „კომუნისტი-ს“ 1933 წ. 278 №-ი), განგრძობილ იქნეს 1934 იანვრის 15-მდე.

#### II

ამის შესაბამისად ზემოაღნიშნული დადგენილების მე-III კარი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

1. შეჩერებულ იქნეს 1934 წლის იანვრის 15-მდე ქალ. ტფილისსა და ბათუმში მოქმედება:

ა) საბინაო საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა წესდებების ამ ნაწილისა, რაც ეხება ამხანაგობათა წევრების და აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების უფლებას ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ მუნიციპალიზებულ სახლებში განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის უპირატესად მიღებაზე;

ბ) საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156<sup>1</sup> მუხლისა (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე 14 №-ი, მუხ. 157) მშრომელთა მიერ როგორც ერთი ქალაქის ფარგლებში, ისე სხვადასხვა ქალაქებში საცხოვრებელი ფართობის ერთმანეთისათვის გაცვლის უფლების შესახებ.

2. დაწესებულ იქნეს, რომ მთლად ის საცხოვრებელი ფართობი ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში (მათ შორის საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ სახლებში) და აგრეთვე კერძო მფლობელობის სახლებში, რაც განთავისუფლება ქალ. ტფილისიდან და ბათონიდან იმ მოქალაქეთა წასვლის გამო, რომელთაც უარი ეთქვათ პასპორტის მიცემაზე, შედის სათანადო საქალაქო საბჭოს კომუნალურ საბინაო ფონდში“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგ. თ. ჟღენტა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მაგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგიერ მ. ვარამაშვილი.

1934 წ. იანვრის 1.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 5 №-ში 1934 წ. იანვრის 5.

## სამხედრო საქმე

## 39. დადგენილება ც.ა.კ.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში 1911 წელს დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევის შედეგების შესახებ.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში 1911 წელს დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევის ჩატარების შედეგის მიხედვით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. აღიარებულ იქნეს, რომ მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში 1911 წ. დაბადებულ მოქალაქეთა მორიგი გაწვევა ჩატარებულ იქნა საქართველოს სსრ-ში პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მთლად საბჭოთა საზოგადოებრიობის საერთო აქტიური მონაწილეობით, რამაც უზრუნველყო კლასობრივი სიფხიზლე გაწვეულთა გაცხრილვაში, მათ შორის წერა-კითხვის ცოდნის წარმატება, წინასწარი სამხედრო მომზადების ჩატარება და გასაწვევი კონტინგენტის გაჯანსაღებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება.

2. ცალკეულ ნაკლოვანებათ, რამაც თავი იჩინა გაწვევის მომზადებისა და ჩატარების დროს, უნდა მიეკუთვნოს:

ა) კომკავშირული და პროფესიონალური ორგანიზაციების მიერ გაწვევის მომზადების საქმეში თავიანთი მძღვანებელი როლის არასაკმარისად ფართოდ გამოვლინება;

ბ) მთელი რიგი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა და სასოფლო საბჭოების მიერ სისტემატური კონკრეტული ხელმძღვანელობის გაუწველობა მათ ტერიტორიაზე გაწვევის ამოცანებისათვის (ვანის, ასპინძის, ბოგდანოვკის და ბორჩალოს რაიონები);

გ) სახალხო განათლების ორგანოების ჩამორჩენა გაწვეულთა შორის წერა-კითხვის ცოდნის წარმატებისათვის შედეგების მიღწევაში, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა შორის (ალბულახ-მანგლისის, ბორჩალოს, ახალციხის, ქუთაისის რაიონები).

დ) თითოეული გასაწვევი მოქალაქის სოციალურ-კლასობრივი სახის შესახებ ცნობების შეკრებისა და ყოველმხრივ შესწავლის საქმის ორგანიზაციის ჯერ კიდევ არასაკმარისად განხორციელება, განსაკუთრებით მოსული ელემენტების მიმართ (ტფილისი, აჭარისტანი, აფხაზეთი).

3. მიერთითოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს სსრ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს, ცენტრალურ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს, რომ აუცილებლად საჭიროა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეს მიმდინარე წელს მუშათა და

გლახთა არმიაში 1912 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მორიგი გაწვევის მომზიდების და ჩატარების დროს.

4. აღიარებულ იქნეს, რომ, ჩატარებული გაწვევის შედეგების მიხედვით, საუკეთესო მაჩვენებლები საქართველოს სსრ ყველა რაიონს შორის ჰქონდა ხორაგოულის რაიონს, რისთვისაც ეს რაიონი დაჯილდოებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გარდამავალი დროებით, რომელიც მას უნდა გადაეცეს თელავის რაიონიდან.

აღინიშნოს განსაკუთრებული მუშაობა გაწვევის საქმეში ხორაგოულის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი თავმჯდომარის ამხ. შარიკაძისა და ზესტაფონის სარაიონო სამხედრო კომისრის ამხ. გურგენიძისა.

5. აღინიშნოს, რომ კარგი შედეგებით მომზადებულ და ჩატარებულ იქნა გაწვევა შემდეგ რაიონებში, ორგანიზაციებში და სამრეწველო საწარმოებში, რომელთაც გაწვევის ამოცანები განახორციელეს სოციალისტური შეჯიბრისა და დამკვერლობის პრინციპებზე: თელავის, სიღნაღის, ყვარლის, ჩხარის, ზესტაფონის, ქვემოხვანეთის, ზუგდიდის, სამტრედიის, ხონის, ლანჩხუთის, ქობულეთის და ბორჯომის რაიონებში, ქალ. ბათომში, აფხაზეთის ავტ. სსრ-ის რაიონებში, ტფილისის საგარეთუბნო და სტალინის რაიონებში, ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციების კავშირში, აჭარისტანის კოოპერატიულ კავშირში, ამხ. ორჯონიკიძის და 26 კომუნარის სახელობის ქარხნებში, „ნავთვაკრობის“ ბათომის განყოფილებაში, წინანდალის საბჭოთა მეურნეობაში და გაზ. „კომუნისტი-სა“, „ტიფლისკი რაბოჩი-ს“ და „სოვეტსკაია აფხაზიის“ რედაქციებში.

აღინიშნოს ზემოთ ჩამოთვლილი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებისა, ორგანიზაციების ხელმძღვანელების და ქარხნების დირექტორებისა, აგრეთვე სათანადო რაიონების სარაიონო სამხედრო კომისრების მიერ სათანადო ხელმძღვანელობა გაწვევის საქმეში.

6. საქართველოს ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხაზით აღინიშნოს მძიმე მრეწველობისა, სამომხმარებლო კოოპერაციისა და „სამტრესტის“ საბჭოთა მეურნეობის სისტემის მიერ გაწვევის გარკვეული და კონკრეტული მომზადება და აღსრულება.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1934 წ. იანვარის 19.

ტფილისი.



## სამოქალაქო სამართალი

### 40. დადგენილება ს.კ.ს.

„რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის დადებული ხელშეკრულებების მოშლისა და შეცვლის წესის თაობაზე“ გამოცემული 1932 წლის ნოემბრის 22-ის დადგენილებისათვის მე-3 და 4 მუხლების დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1932 წლის ნოემბრის 22-ის დადგენილებას „რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის დადებული ხელშეკრულებების მოშლისა და შეცვლის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 8) დაემატოს მე-3 და 4 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„3. ერთი და იმავე კოოპერატიული სისტემის კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულების მოშლა ან შეცვლა შეიძლება მხოლოდ სათანადო რესპუბლიკანური ან სარაიონო კოოპერატიული ცენტრის (კუთვნილებისამებრ) დადგენილებით, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში—ამა დადგენილების მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის წესისამებრ“.

„4. მხარე, რომელმაც შეიტყო მთავრობის ან უწყების დადგენილება ხელშეკრულების შეცვლის შესახებ, მოვალეა აცნობოს მეორე მხარეს ყოველგვარი ცვლილება ხელშეკრულებისა დადგენილების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ა. ჟოფიკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათიშვილი.

1934 წ. იანვრის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 17 №-ში 1934 წ. იანვრის 18.

## მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

### 41. დადგენილება ს.კ.ს.

1934 წლის იანვრის 1-თვის სოციალისტური მრეწველობის სამრეწველო საწარმოთა სავალდებულო საერთო რეგისტრაციის შესახებ.

„1934 წლის იანვრის 1-თვის სოციალისტური მრეწველობის სამრეწველო საწარმოთა სავალდებულო საერთო რეგისტრაციის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 11-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგა-

ნიხაციების ყველა სამრეწველო საწარმოს, უკეთეს მას ძრავი აქვს (მომუშავენი), ნისა, მექანიკური, ქარისა და წყლისა), ან ჰყავს სამი და მეტი მომუშავე პირი, სახლში მომუშავეთა თანხართვით, დარეგისტრდეს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო (საქალაქო) ინსპექტორთან, საწარმოს სამყოფელი ადგილის მიხედვით, და შეავსოს დადგენილი სარეგისტრაციო ბლანკი.

2. დარეგისტრებულ უნდა იქნეს მრეწველობის ყველა დარგის საწარმო მეთევზეობისა, ნადირობისა და ტყის დამზადების საწარმოს გამოკლებით.

შენიშვნა. მეთევზეობისა და ტყის დამზადების საწარმოსთან არსებული დამხმარე ხელშემწყობი და სხვა საწარმო (ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ცეხი, „უტილცეხი“ და სხვა მისთ.) დარეგისტრებულ უნდა იქნეს.

3. 1934 წლის მარტის 1-დან მარტის 15-მდე საწარმონი მოვალენი არიან აცნობონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო (საქალაქო) ინსპექტორს თავიანთი მისამართები და მიიღონ სარეგისტრაციო ბლანკი. საწარმომ უნდა წარუდგინოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო (საქალაქო) ინსპექტორს შეესებულები ბლანკი არა უგვიანეს 1934 წ. აპრილის 5-ისა.

4. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს:

ა) უზრუნველყოს სსრ კავშირის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ სახელმძღვანელოდ მიწოდებული სარეგისტრაციო ბლანკების მტკიცეთ შესრულება;

ბ) დაამყაროს რეგისტრაციის წესი ამა დადგენილების 1, 2 და 3 მუხლების შესაბამისად;

გ) მოაწყოს ამა დადგენილების აღსრულების კონტროლი და საწარმოთა მიერ წარდგენილი ცნობების სისწორის შემოწმება საწარმოთა სპეციალური დათვალეიერებით (დავლით)—ისე, რომ დათვალეიერებულ იქნეს არა ნაკლებ დასარეგისტრებელ საწარმოთა 50%-ისა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—ჩაატაროს შემდგომში სოციალისტური მრეწველობის რეგისტრაცია თვითთულ ორ წელიწადში ერთხელ.

6. დაევალოს ყველა რესპუბლიკანურ, საოლქო და სარაიონო სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას—წარუდგინოს არა უგვიანეს 1934 წლის თებერვლის 15-ისა, საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის (აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხარეთ-ოსეთის) სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებს, ან სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო (საქალაქო) ინსპექტორებს თავის სამრეწველო საწარმოთა სია, ზედმიწევნითი მისამართისა, მოსაქმე პირთა რიცხვისა და ძრავის აღნიშვნით.

7. დაწესებულ იქნეს, რომ რეგისტრაციისაგან თავის არიდების ან რეგისტრაციის ვადების შალსრულებლობისათვის საწარმოს ხელმძღვანელს დაედება ჯარიმა 100 მან. რაოდენობით, რაც დაიდება ადმინისტრაცი უ ვადასახდელთა



დეპუტების წესით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236).

მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—პასუხისმგებლობაში აძლიოს იმ საწარმოთა ხელმძღვანელნი, რომელნიც სარეგისტრაციო ბლანკებში წარადგენენ არასწორ ცნობებს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ა. უფიკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათიშვილი.

1934 წ. იანვრის 31.

ტიფლისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 50 №-ში 1934 წ. თებერვლის 28.

## მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

### 42. დადგინილება ს.კ.ს. და ს.კ.პ (ბ)ც.კ.

1934 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ.

საქართველოს სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ი ადგენენ:

1. დაწესდეს 1934 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმა 640.057 ჰექტარის ოდენობით, მათ შორის საქართველოს სსრ მიწსახკომის სისტემის საბჭოთა მეურნეობებში—16.459 ჰექტარი, კოლმეურნეობებში—205.333 ჰექტარი, აქედან იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურებას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—118.172 ჰექტარი და ერთპიროვნულ მეურნეობებში—418.265 ჰექტარი, შემდეგი განწილებით კულტურებისა და სექტორების მიხედვით:

კულტურების დასახელება	საბჭოთა მეურნეობები	კოლმეურნეობები	მათ შორის კოლმეურნეობები, რომლებსაც მომსახურებას უწევენ სამანქანო-სატრ. სადგურ.	ერთპიროვნული მეურნეობანი	სულ
1. ხორბალი . . . . .	10	15.849	5.978	36.941	52.800
2. ქერი . . . . .	4.706	21.482	9.323	49.812	76.000
3. სიმინდი . . . . .	2.220	114.837	68.130	265.408	382.465
4. ფეტვი . . . . .	650	2.031	1.779	4.149	6.830
5. შერი . . . . .	931	729	248	990	2.650
6. ასლი . . . . .	—	1.491	—	5.544	7.035
7. ღომი . . . . .	—	219	70	421	640
8. სხვა მარცვლეული . . . . .	2	282	135	996	1.280
სულ მარცვლეული . . . . .	8.519	156.920	85.663	364.261	509.702

№ 2  
 1910 წლის  
 მარტის 15

კულტურების დასახელება	საბჭოთა მეურნეობები	კოლმეურნეობები	მათ შორის კოლმეურნეობები, რომლებსაც მომსახურებას უწევენ სამანქანო-სატრ. სადგურ.	ერთობროვნული მეურნეობანი	ს უ ლ
9. ცერცოვანი . . . . .	489	102	55	409	1.000
10. თამბაქო . . . . .	—	7.618	4.739	11.582	19.200
11. ბამბა . . . . .	150	4.178	4.053	2.822	7.150
12. შაქრის ჭარხალი . . . . .	—	3.450	3.450	550	4.000
13. არახისი . . . . .	135	525	525	—	660
14. მხესუმშირა . . . . .	598	1.778	1.753	5.024	7.400
15. სელი . . . . .	—	743	359	1.032	1.775
16. ჩუფა . . . . .	20	—	—	—	20
17. ლუფა . . . . .	—	80	80	—	30
18. ეთეროვანი კულტურები . . . . .	390	216	182	34	640
<b>სულ ტექნიკური კულტურ.</b>	<b>1.293</b>	<b>18.588</b>	<b>15.141</b>	<b>21.044</b>	<b>40.925</b>
19. კარტოფილი . . . . .	270	4.186	1.297	13.284	17.740
20. ბახჩა . . . . .	90	1.063	960	1.847	3.000
21. ბოსტანი . . . . .	1.110	4.651	3.213	10.996	16.757
22. ბატატი . . . . .	10	20	20	—	30
<b>სულ ბოსტნ.-კარტოფილი</b>	<b>1.480</b>	<b>9.920</b>	<b>5.490</b>	<b>26.127</b>	<b>37.527</b>
23. ბალახები . . . . .	2.205	13.423	8.064	5.218	20.846
24. ძირნაყოფა . . . . .	158	650	424	106	914
25. სასილოსო ნათესი . . . . .	90	2.640	1.545	—	2.730
26. სხვა საკვები . . . . .	50	1.590	1.590	100	1.740
<b>სულ საკვები . . . . .</b>	<b>2.503</b>	<b>18.303</b>	<b>11.623</b>	<b>5.424</b>	<b>26.230</b>
27. წარსული წლების ბალახ. . . . .	960	1.500	200	1.000	3.460
28. სხვა ნათესი . . . . .	1.215	—	—	—	1.215
<b>სულ ნათესი . . . . .</b>	<b>16.459</b>	<b>205.333</b>	<b>118.172</b>	<b>418.265</b>	<b>640.057</b>
29. სოია მწკრივთა შორის . . . . .	—	9.000	6.000	16.000	25.000
30. ლობიო მწკრივთა შორის . . . . .	—	8.500	3.600	16.500	25.000



2. დაწესდეს სათესლე ნათესების ფართობი კოლმეურნეობებში—10.080 ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის: სახელმწიფო ხარისხოვანი ფონდი—5.870 ჰექტარი და სამანქ.-სატრაქტორო სადგურების ფონდი—4.210 ჰექტარი.

3. დაწესდეს 1934 წლის გაზაფხულისათვის მრავალწლიან ნარგავთა გაშენების და რემონტის შემდეგი გეგმა:

კულტურები	სულ	მათ შორის			
		საბკოთა მეურნეობები	კოლმეურნეობები	მათ შორის კოლმეურნეობანი, რომლებსაც მომსახურებას უწყვეტ სამანქ.-სატრ. სადგურები.	ერთპიროვნული მეურნეობები
1. ჩაი—ნიადაგის მომზადება	474	24	400	400	—
2. ჩაი—თესვა . . . . .	537	127	400	400	—
3. რამი . . . . .	600	300	300	274	—
4. რამის სანერგეები . . . . .	30	30	—	—	—
5. რამის რემონტი . . . . .	100	100	—	—	—
6. ვენახი . . . . .	152	45	86	16	21
7. ვენახის რემონტი . . . . .	74	—	74	18	—
8. ამერიკული ვაზის სადედე	83	10	73	53	—
9. ხილის ბაღები . . . . .	1.175	175	879	391	121
10. ხილის ბაღების რემონტი	551	47	427	239	77
11. ბამბუკი . . . . .	91.8	81.4	10	10	—
12. ტუნჯის ხე . . . . .	146	146	—	—	—
13. თხილი . . . . .	45	—	42	32	3
14. ციტრუსები სულ . . . . .	355	172.5	55	—	—
მათ შორის: მანდარინი . . . . .	211	90.5	55	—	—
ლიმონი . . . . .	139	80	9,5	—	—
ფართოხალდი . . . . .	5	2	0,5	—	—
15. ციტრუსების რემონტი . . . . .	80	80	—	—	—
მათ შორის: მანდარინის . . . . .	74	74	—	—	—
ლიმონის . . . . .	6	6	—	—	—
ფართოხალდის . . . . .	—	—	—	—	—
16. ხილის სანერგეები . . . . .	59	33	24	14	2
17. კეთილშობილი დაფნა . . . . .	110	—	93	84	17
18. კეთილშობ. დაფნის რემ . . . . .	30	—	30	22	—
19. ამერიკ. ვაზის სადედე რემ.	190	190	—	—	—



დამტკიცდეს რაიონების კულტურების და სექტორების მიხედვით ფხულო კულტურების თესვის და მრავალწლიან ნარგავების განაწილების გეგმა, წარმოდგენილი საქართველოს მიწსახკომის მიერ.

4. დაწესდეს 1934 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს შემდეგ სავალდებულო ღონისძიებათა გატარება, რომლებიც წარმოადგენენ გადამწყვეტ ღონისძიებებს მოსავლიანობის გადიდების საქმეში:

**თ ე ს ბ რ უ ნ ვ ა**

5. უზრუნველყოფილ იქნას საგაზაფხულო კულტურების თესვა იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც 1933 წლის შემოდგომაზე გადავიდნენ თესლბრუნვაზე—თესლბრუნვის საგაზაფხულო კულტურებისათვის გამოყოფილ მინდვრებზე.

6. შემოღებულ იქნას 1934 წელს თესლბრუნვა დამატებით 280 კოლმეურნეობაში 49.185 ჰექტარზე, მათ შორის 1934 წლის გაზაფხულზე—44 კოლმეურნეობაში 11.600 ჰექტ. საქართველოს მიწსახკომის გეგმით.

**თესლის გაწმენდა და შეწამლა**

7. ჩატარდეს თაითავიანი კულტურების სათესლე მასალის სავალდებულო გაწმენდა (წინასწარ დამხარისხებლებზე, ხოლო შემდეგ—ტრიერებზე) და შეწამლა საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში. თესლის გაწმენდა და შეწამლა დამთავრდეს თესვის დაწყებამდე 15—20 დღით ადრე.

შეწამლა მოეწყოს ისე, რომ იგი წარმოებდეს უშუალოდ მარცვლეულის გაწმენდისთანავე.

ჩატარდეს სათესლედ სავსებით ვარგისი სიშინდის ტაროების შერჩევა.

8. ჩატარდეს 1934 წლის თებერვლის და მარტის განმავლობაში სათესლე მასალის ხარისხის რაოდენობის შემოწმება საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში.

**ნიადაგის მომზადება საგაზაფხულო კულტურებისათვის**

9. ჩატარდეს ადრეული ხვნა საგაზაფხულო კულტურებისათვის 556.500 ჰექტარზე, მათ შორის: საბჭოთა მეურნეობებში—8.450 ჰექტარზე, კოლმეურნეობებში—174.800 ჰექტ., აქედან იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურებას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—97.300 ჰექტარზე, ერთპიროვნულ მეურნეობებში—373.250 ჰექტარზე.

10. ჩატარდეს მძრალად მოხნული მთელი ფართობის გადახვნა 77.298 ჰექტ., მათ შორის საბჭოთა მეურნეობებში—6.993 ჰექტარზე, კოლმეურნეობებში—28.135 ჰექტარზე, აქედან იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურებას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—17.064 ჰექტარზე, ერთპიროვნულ მეურნეობებში—42.170 ჰექტარზე.



11. აღრეული ხენა საგაზაფხულო კულტურებისათვის დამთავრდეს არა უგვიანეს შემდეგი ვადებისა:

ბ ა მ ბ ის ა თ ვ ის: — არა უგვიანეს 15 მარტისა.

თ ა მ ბ ა ქ რ ს ა თ ვ ის: აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში — არა უგვიანეს 15 თებერვლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში — 15 მარტისა;

აფხაზეთში — 1 აპრილისა და

აჭარისტანში — 10 აპრილისა.

შ ა ქ რ ის ქ ა რ ხ ლ ის ა თ ვ ის გ ო რ ის ა და კ ა ს პ ის რ ა ი ო ნ ე ბ შ ი — არა უგვიანეს 15 მარტისა.

ს ა გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ო თ ა ე თ ა ვ ი ა ნ კ უ ლ ტ უ რ ე ბ ის ა, ბ ა ლ ა ხ ე ბ ის ა და კ ა რ ტ ო ფ ი ლ ის ა თ ვ ის:

ა) თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, ლუქსემბურგის და კასპის რაიონებში — არა უგვიანეს 10—15 მარტისა.

ბ) ახალციხის, ადიგენის, სტალინისის, გორის, ტფილისის, საგარეჯოს და აღბულახის რაიონებში — არა უგვიანეს 25 მარტი — 1 აპრილისა.

გ) ასპინძის, ბორჯომის, თიანეთის, ბაშჩიჩეთის რაიონებში და სამხრეთ ოსეთში — არა უგვიანეს 10—15 აპრილისა.

დ) ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, დუშეთის და ყაზბეგის რაიონებში — არა უგვიანეს 25 აპრილი — 1 მაისისა.

ს ი მ ი ნ დ ის ა თ ვ ის: აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში — არა უგვიანეს 1—5 აპრილისა, გარდა თიანეთის და აღბულახის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთისა, რომლებშიც ხენა დამთავრდეს არა უგვიანეს 10—25 აპრილისა.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში — არა უგვიანეს 25 მარტი — 1 აპრილისა, გარდა ონის რაიონისა (20 აპრილი) და აბაშის, სამტრედიის, ლანჩხუთის რაიონების დაბლობი ნაწილისა (ანჯელი) — არა უგვიანეს 20—25 აპრილისა.

12. დაწესდეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ტრაქტორებით სატრაქტორო სამუშაოების შემდეგი გეგმები: საგაზაფხულო ხენა — 26.700 ჰექტარი, მძრალად მოხნული მიწის გადახენა — 4.240 ჰექტარი, თესვა — 10.660 ჰექტარი.

13. ხენა ჩატარდეს საქართველოს მიწსახკომის მიერ ცალკეული კულტურების და რაიონების და ნიადაგთა სხვადასხვაობის მიხედვით დაწესებულ სიღრმეზე.

### თესვის ვადები

14. ჩატარდეს თესვა შემდეგ ვადებში:

ბ ა მ ბ ა: ბორჩალოს და ყარაიას რაიონებში — 28 აპრილიდან 5 მაისამდე, — ლუქსემბურგის რაიონში — 1 დან 5 მაისამდე.

თ ა მ ბ ა ქ ო: ლაგოდეხის, ყვარლის და ბორჩალოს რაიონებში — 20 აპრილიდან 10 ივნისამდე; სიღნაღის, გურჯაანის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ჩიხატაურის რაიონებში და აფხაზეთის ს.ს რესპუბლიკაში — 25 აპრილიდან 10 ივნისამდე; აჭარისტანში — 1 მაისიდან 10 ივნისამდე.

**შაქრის ქარხნები:** 1-დან 20 აპრილამდე.

**საგაზაფხულო თავთავიანი კულტურებისა და ბალახების**  
**თესვა** დამთავრდეს არა უგვიანეს შემდეგი ვადებისა:

სიღნაღის, გურჯაანის, ბორჩალოს, ყარაის რაიონებში—20—25 მარტს;

თელავის, ლუქსემბურგის, ტფილისის, გორის, კასპის რაიონებში—1—5

აპრილს.  
 ახალციხის, აღიგენის, ასპინძის, სტალინისის, ბორჯომის, ალბულახ-  
 მანგლისის, საგარეჯოს, ბაშკიჩეთის რაიონებში—15—20 აპრილამდე;

ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, ღუშეთის (მთიან ზონაში), ყაზბე-  
 გის, თიანეთის (მთიან ზონაში) რაიონებში და სამხრეთ-ოსეთში (მთიან ზონაში)  
 1—5 მაისს.

**სიმინდის თესვა:** დასავლეთ საქართველოს რაიონებში დამთავრ-  
 დეს არა უგვიანეს 5 მაისისა, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში—5—10  
 მაისისა.

**15.** წინადადება მიეცეს რაიონმასკომებს და საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კომი-  
 ტეტებს, აგრეთვე აფხაზეთის და აჭარისტანის ა.ს.ს.რ. და სამხრეთ-ოსეთის აგ-  
 ტონომიური ოლქის ცაკებს და აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის  
 ოლქკომებს—მოახდინონ თესვის დაწყების და დამთავრების ვადების დიფერენ-  
 ცირება ცალკე სოფლებსა და კოლმეურნეობების მიხედვით ნიადაგის და კლი-  
 მათურ და სხვა პირობებთან შეფარდებით.

### მწკრივად თესვა

**16.** ჩატარდეს თავთავიანი კულტურების მწკრივად თესვა სათესი მანქა-  
 ნებით 13.830 ჰექტ. ფართობზე, აქედან საბჭოთა მეურნეობებში—4.700 ჰექტ.,  
 კოლმეურნეობებში—9.130 ჰექტ., მათ შორის კოლმეურნეობებში, რომლებსაც  
 მომსახურებას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—5.050 ჰექტ., სი-  
 მინდის მწკრივად თესვა—13.000 ჰექტ. ფართობზე, აქედან საბჭოთა მეურ-  
 ნეობებში—2.250 ჰექტ., კოლმეურნეობებში—10.750 ჰექტ., მათ შორის კოლ-  
 მეურნეობებში, რომლებსაც მომსახურებას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო  
 სადგურები—9.500 ჰექტ.

### ნაკელის სასუქი

**17.** საქართველოს მიწსახკომის გეგმასთან შეფარდებით საგაზაფხულო  
 კულტურების დასათესად ნიადაგის მოხვნის წინ შეტანილ იქნას ნაკელის სა-  
 სუქი 900.000 ურმის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში—379.000, მათ  
 შორის კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურებას უწევენ სამანქანო-  
 სატრაქტორო სადგურები—114.000 და ერთპიროვნულ მეურნეობებში—521.000  
 ურემი.

### მინერალური სასუქი

**18.** დაწესდეს მინერალური სასუქის შეტანის შეზღვევა გეგმა: ბამბისა-

თვის—1.000 ჰექტ. ფართობზე, თამბაქოსათვის—9.500 ჰექტარი, ჯარბლისათვის—1.000 ჰექტარი.  
 თვის—4.000 ჰექტარი.

### მერგელით განოყიერება

19. მოხდეს სიმინდისათვის გათვალისწინებული ფართობების მერგელით განოყიერება შემდეგი რაოდენობით: მარტვილის რაიონში—200 ჰექტ., ზუგდიდის—10 ჰექტ. და ჩხოროწყუს რაიონში—200 ჰექტ.; მერგელის შეტანა წარმოებულ იქნას გაზაფხულის დამდეგს, ძირითადი ხვნის დაწყებამდე. მერგელის ჩაკეობა მოხდეს ძირითად ხვნასთან ერთად.

### შლამით განოყიერება

20. მოწონებულ იქნას ხონის რაიონის ინიციატივა სიმინდის ფართობებზე—5.000 ჰექტარზე შლამის შეტანის საქმეში. წინადადება მიეცეს აბაშის, ქუთაისის და მარტვილის რაიონების რაიონმასკომებს, საქ. კ.პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს, მიწგანებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, ხონის რაიონის მავალითისამებრ, ფართო ხასიათი მისცენ შლამის შეტანას სიმინდისათვის გამოყოფილ ფართობზე ქვენაცროვან და ქვიან-რიყიან ნიადაგებზე. შლამის შეტანა უნდა დაუკავშირდეს საგაზაფხულო წყალდიდობას.

### თავთავიანი კულტურების ხელით გამარგვლა

21. ჩატარდეს თავთავიანი კულტურების (საშემოდგომო და საგაზაფხულო), ხელით გამარგვლა 18.325 ჰექტ. ფართობზე, მათ შორის კოლმეურნეობებში—47.860 ჰექტ., აქედან კოლმეურნეობებში, რომლებთაც მომსახურებას უწევს სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—26.645 ჰექტ., და ერთპიროვნულ მეურნეობებში—73.465 ჰექტ.

### სარწყავი ქსელის მომზადება

22. წინადადება მიეცეს რაიონმასკომებს და რაიკომებს იანვრის და თებერვლის განმავლობაში შეამოწმონ და სავსებით მოამზადონ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კაპიანისათვის საირიგაციო სისტემის მთელი ქსელი.

23. საქართველოს მიწსახკომმა არა უგვიანეს 1 მარტისა შეამოწმოს ამ სისტემების მომზადება მორწყვისათვის.

### ბრძოლა სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ

24. მიწსახკომმა, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ცაკებმა და ოლქკომებმა, რაიონმასკომებმა და საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებმა, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა და პოლიტგანყოფილებების უფროსებმა მოაწყონ ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ბამბის, თამბაქოს, შაქრის ჯარბლის, ჩაის, ციტრუსების, ვენახის, ბაღების, ბოსტნების და სხვ.) მავნებლებითა და დაავადებებით შეპყრობილ მთელ ფართობზე.



**სახოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების რემონტი**

25. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ტანის ა.ს.ს.რ. და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკებს და აფხაზეთის, აჭარის ტანის, სამხრეთ-ოსეთის ოლქკომებს, რაილმასკომებს, საქ. კ.პ. (ბ) რაიკომებს, სამ.-სატრ. სადგურების პოლიტგანყოფილებებს, რაიმიწვანებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს უზრუნველყონ სამანქანო-სატრაქტორო პარკის დროულად მომზადება სავაზაფხულო ხვნისა და თესვის-თვის და მოაწყონ სამეურნეო მანქანების და მთელი ინვენტარის რემონტი კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში საქართველოს მიწსახკომის მიერ მიღებულ გეგმასთან შეფარდებით. ამასთან რემონტი დაამთავრონ არა უგვიანეს 15—20 თებერვლისა.

**მეცხოველეობის ხაზით**

26. დამტკიცდეს შემდეგი დავალებანი სულაღობის მხრივ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებსა და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში (ათას სულობით):

სამტრეხტის ხაზით:	1934 წ. 1/1-თვის	1935 წ. 1/1-თვის
	არსებული რაოდენობა	აყვანილი იქნას სულაღობა
ა) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი:		
საერთო რაოდენობა . . . . .	90,79	0,83
მათ შორის ძროხა . . . . .	0,48	0,48
ბ) ცხვარი . . . . .	107,7	121,1
საერთო რაოდენობა,		
მათ შორის დედალი ცხვარი . . . . .	62,6	69,9
მეცხენეობის სამმართველოს ხაზით:		
საერთო რაოდენობა . . . . .	0,77	0,96
მათ შორის ფაშატი ცხენი . . . . .	0,45	0,46
სამხრეთ-ოსეთის ტრეხტის ხაზით		
საერთო რაოდენობა . . . . .	0,62	0,62
მათ შორის ძროხა . . . . .	0,32	0,32

**საკოლმეურნეო მეცხოველეობის ხაზით**

სასაქონლო ფერმებში:

საარძეო-სასაქონლო ფერმებში საერთო რაოდენობა . . . . .	30,3	34,9
აჭედან ძროხა . . . . .	14,3	15,9

მეღორეობის სასაქონლო ფერმებში:

საერთო რაოდენობა . . . . .	10,8	15,9
აჭედან დედა ღორი . . . . .	2,9	4,2



**მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებში:**

საერთო რაოდენობა . . . . .	123,6	145,9
აქედან დედალი ცხვარი . . . . .	72,7	85,3

**მეცხენეობის სასაქონლო ფერმებში:**

საერთო რაოდენობა . . . . .	1,2	1,42
აქედან ფაშატი ცხენი . . . . .	0,63	0,68

**მეფრინველეობის სასაქონლო ფერმებში:**

საერთო რაოდენობა . . . . .	5,1	13,5
აქედან კვერცხმდებელი დედალი . . . . .	2,5	12,0

**სასაქონლო საფუტკარე:**

სკა . . . . .	6,8	8,84
---------------	-----	------

27. დაწესდეს მოზარდი პირუტყვის გამოსადეგი ნამატის შემდგომი გამოსავლიანობა 1934 წელს საკოლმეურნეო მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებში:

ა) სარძეო-სასაქონლო ფერმებში—11.990 სული ხზო ანუ 1934 წლის 1 იანვრისათვის არსებული ძროხის და დეკეულის რაოდენობის არა ნაკლებ 75 პროცენტისა;

ბ) მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებში—61.220 სული ბატკანი, ანუ 1934 წლის პირველ იანვრისათვის არსებული დედალი ცხვრის და თოხლის რაოდენობის არა ნაკლებ 84 პროცენტისა;

გ) მელიორეობის სასაქონლო ფერმებში—20.470 სული გოჭი, ანუ არა ნაკლებ 5 გოჭისა თვითიველ დედა-ღძრზე.

28. დამტკიცდეს ფერმებში მოზარდი პირუტყვის გაზრდის რაოდენობრივი გეგმა, წარმოდგენილი საქართველოს მიწსახკომის მიერ.

29. დაევალოს საქართველოს მიწსახკომს მოაწყოს 1934 წლის განმავლობაში თხების ერთი საჯიშე ფერმა წალენჯიხის რაიონში და კამეჩის ორი ფერმა ფოთის და ყვარლის რაიონებში, ამასთან უზრუნველყოს სათანადო კრედიტებით პირუტყვის ყიდვა და ამ ფერმების მშენებლობა.

30. დასახულ იქნას განსაზოგადოებული პირუტყვის რაოდენობის ზრდა საქართველოს კოლმეურნეობებში სასაქონლო ფერმების გარეშე შემდეგი რაოდენობით (პროცენტებში 1934 წ. პირველი იანვრისათვის არსებულ რაოდენობასთან შედარებით): მსხვილი რქოსანი პირუტყვი არა ნაკლებ 9 პროც., ცხვარი—14 პროც., ღორი 30--35 პროც., თხა—არა ნაკლებ 16 პროც.

31. გაფრთხილებულ იქნენ რაიმიწვანების გამგეები, საბჭოთა მეურნეობებისა და სამ.სატრ. სადგურების დირექტორები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებანი, კოლმეურნეობათა გამგეობანი და ფერმების გამგეები, რომ საბჭოთა მეურნეობებში, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში და კოლმეურნეობებში, სასაქონლო ფერმების გარეშე პირუტყვის სულადობის



გადიდების დაეალებათა შესრულების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მოზარდი პირუტყვისადმი ფრთხილად მოპყრობას, ამიტომ მოზარდი პირუტყვის წესიერად მოვლაზე და შენახვაზე ზრუნვა უნდა წარმოადგენდეს ყველა პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ძირითად ამოცანას.

მ2. წინადადება მიეცეს პარტიის რაიკომებს, სამანქანო სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მიწსახკომებს, რაიმიწვანებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს თესვის გეგმების კოლმეურნეობებამდე დაყვანის დროს გაითვალისწინონ ამ გეგმებში პირუტყვის სრული უზრუნველყოფა კოლმეურნეობებში ყოველგვარი სახის საკვებით, ხოლო კოლმეურნეობების გამგეობებმა უმკველად უზრუნველყონ საკვები ქულტურების თესვა ისეთი რაოდენობით, რომელიც საყვებით უზრუნველყოფს პირუტყვის მთელ სულადობას საკვებით.

მ3. განისაზღვროს მშენებლობის გეგმა კოლმეურნეობებში და საკოლმეურნეო მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებში შემდეგი რაოდენობით:

მსხვილი რქოსანი

კოლმეურნეობებში სასაქონლო ფერმების გარეშე პირუტყვისათვის (გარდა მუშა პირუტყვისა) . . . . .	5.305 ს. პირუტყვ. ადგილი
მუშა-პირუტყვისათვის . . . . .	39.380 ს.
ლორისთვის . . . . .	824 ღორის ადგილი
ცხვრებისათვის . . . . .	9.320 ცხვრის "
სარძეო-სასაქონლო ფერმებში . . . . .	7.955 პირუტყვის ადგილი
მეღორეობის სასაქონლო ფერმებში . . . . .	2.539 ღორის ადგილი
მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებში . . . . .	21.500 ცხვრის ადგილი.

მ4. წინადადება მიეცეს რაიკომებს, რაიადმსკომებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს, რაიმიწვანებს და კოლმეურნეობების გამგეობებს 1934 წლის პირველსავე კვარტალში უზრუნველყონ ადგილობრივი საშენი მასალის დამზადება და მიტანა მშენებლობის ადგილზე ისეთი რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს მშენებლობის გეგმის საყვებით შესრულებას.

მ5. საკვების დასილოსების გეგმა 1934 წლისათვის განისაზღვროს 22.700 ტონას რაოდენობით.

მ6. კოლმეურნეობებში ცოცხალი გამწევი ძალის წორმალური მუშაობის უზრუნველყოფისა და სავაზაფხულო თესვის კამპანიაში მისი მთლიანად გამოყენების მიზნით, წინადადება მიეცეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, პოლიტგანყოფილებათა უფროსებს, რაიადმსკომების მდივნებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს მუშა-საქონლისათვის საკვების გამოყოფა ჯამთავრონ არა უგვიანეს 10 თებერვლისა და უზრუნველყონ საქართველოს მიწსახკომის გეგმით გათვალისწინებული საკვების დაჯავშნული ფონდის შექმნა.

გაფრთხილებულ იქნას სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორები, რაიმიწვანების გამგეები, რაიკომების მდივნები და პოლიტგანყოფილებათა უფროსები, რომ მეცხოველეობის დარგში ხარისხობრივი და რიცხვობრივი



მაჩვენებლებების ამაღლება დამოკიდებულია პირუტყვის სწორ ზოო-ვეტ-მომსახურებაზე. ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცხოველეობის მუდმივი ბრიგადების შექმნას ფერმებში საუკეთესო, შემოწმებულ, გამოცდილ კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალებისაგან, რომელთაც უყვართ ეს საქმე და ბრიგადირების შერჩევას საუკეთესო დამკვრელებისაგან. საჭიროა ყოველმხრივ დახმარება გაეწიოს მათ საწარმოო, ზოოტექნიკურ და პოლიტიკურ კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში, ამასთან უზრუნველყოფილ, იქნას სანარდო მუშაობის ნამდვილად გატარება და იმ კოლმეურნეთა ნატურით დაჯილდოება, რომელთაც გადაპარბებით შეასრულეს საწარმოო დავალებანი.

37. დაწესდეს სათიბების და საძოვრების გაუმჯობესების გეგმა—60.750 ჰექტ. რაოდენობით, აქედან მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში—33.200 ჰექტ., კოლმეურნეობებში—27.550 ჰექტარი.

დამტკიცდეს სათიბების და საძოვრების გაუმჯობესების რაიონობრივი გეგმა, წარმოდგენილი საქართველოს მიწსახკომის მიერ.

38. პარტიის რაიკომებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტიკური განყოფილებებმა და რაიონმასკომებმა თესვის დავალებათა კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე დაყვანის დროს გაითვალისწინონ მეცხოველეობის ინტერესები არსებული ბუნებრივი საკვები ბაზის შენარჩუნების საქმეში, არ დაუშვან სათიბების, გარდამავალი საძოვრების და რესპუბლიკანური მნიშვნელობის საქონლის გადასარეკი გზების მოხვნა.

39. კოლმეურნეობებში ცოცხალი გამწევი ძალის რემონტის მიზნით დაწესდეს მოწვრების გამოზრდის გეგმა მეცხოველეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში 1.640 სულის რაოდენობით.

40. დაწესდეს 1934 წლისათვის მეფრინველეობის 3 საინკუბატორო მომუშავე სადგურის ჩაწყობის საერთო გეგმით 75.000 ცალი კვერცხის რაოდენობით, აქედან სამტრედიის საინკუბატორო სადგურისათვის 25 ათასი ცალი კვერცხი, გურჯაანის საინკუბატორო სადგურისათვის—25 ათასი ცალი და ზუგდიდის საინკუბატორო სადგურისათვის—25 ათასი ცალი.

საკარმიდამო მეფრინველეობის განვითარების და კოლმეურნეობათა მეფრინველეობის სასაქონლო პროდუქციის გადიდების მიზნით მოეწყოს კვერცხების ინკუბაცია, აგრეთვე კოლმეურნეებისათვის, კოლმეურნეობათა გამგეობების მეშვეობით მათთან ხელშეკრულებების დადების საფუძველზე.

41. წინადადება მიეცეს მიწსახკომსა და სამტრედიის და ზუგდიდის რაიკომებს უზრუნველყონ ინკუბაციის დაწყება არა უგვიანეს 20 თებერვლისა და გურჯაანის რაიკომს—არა უგვიანეს პირველი მარტისა.

42. წინადადება მიეცეს საქართველოს მიწსახკომს ერთი თვის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სახკომსაბჭოს გეგმა და ღონისძიებანი პირუტყვის ეპიზოოტიასთან ბრძოლისა 1934 წლისათვის.

### კადრების შესახებ

43. მომზადდეს და მოეწყოს მასობრივი კვალიფიკაციის კადრების შემდეგი კონტინენტის გამოშვება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის:

ა) ს ა რ ა ი ო ნ ო ს ა კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ს კ ო ლ ე ბ ი ს ხ ა ზ ი თ: კოლმეურნობის თავმჯდომარე—180 კაცი, ბრიგადირი—830 კაცი, ფერმის გამგე—100 კაცი, მოანგარიშე—600 კაცი.

ბ) კ უ რ ს ე ბ ი ს ქ ს ე ლ ი ს ხ ა ზ ი თ: ბრიგადირი—2.610 კაცი, შრომის ორგანიზატორი—60 კაცი, აღრიცხვის ინსტრუქტორი—50 კაცი, საჯიშე საქმის ტექნიკ.—30 კაცი, ზოოპუნქტების ტექნიკოსი—52 კაცი, ვეტერინარი—150 კაცი, ვეტტექნიკოსი 10 კაცი, მეფუთკრე—60.

### აგროტექპრომაგანდის ხაზით

44. მოეწყოს და გატარდეს იანვრის და თებერვლის განმავლობაში კურს-კონფერენციები რაიონებში სხვადასხვა პროფილის მიხედვით (მთესაგები, გადა-მრგველები, მევენახეები, მწველაგები და სხვ.) 21 ათასი კაცის რაოდენობით, ამასთან დროულად უზრუნველყოფილ იქნან ისინი შესაფერი პროგრამებით, მეთოდური ხელმძღვანელობით რაიმიწვანების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და რაიონთა აგროპერსონალის მხრით.

მოხდეს მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო წრეების და აგროტექსკოლების გამოშვება არა უგვიანეს 15 მარტისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ლ. ბერია.

1933 წ. იანვრის 20.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 22 №-ში 1934 წ. იანვრის 25.

### 43. დადგინილება ს.კ.ს.

1934 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და ცხოველთა მავნებლებთან და სენთან ბრძოლის ორგანიზაციის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და ცხოველთა მავნებლებთან და სენთან ბრძოლის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

#### I. ზოგადი დებულებანი.

1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან და სენთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარება, კალიისა და მინდვრის ფარვანის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გარდა, დაეკისროს უშუალოდ საბჭოთა მეურნეობებს, კოლექ-

ტიურ მეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომელნიც ანხორციელებენ ამ ბრძოლას თავიანთი ძალით და სახსრით და პასუხს აგებენ როგორც მუშაობის თვისებისა, ისე ღონისძიებათა თავის დროზე განხორციელებისათვის სხვა იმ აგროტექნიკურ ღონისძიებათა თანაბრად, რაც მიმართულია მოსავლიანობის გადიდებისათვის და გასახორციელებელია საჯალდებულო აგროწესების აღსრულების წესისამებრ.

2. საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან და სენთან ბრძოლისათვის მუშაობის მოწყობა და ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწვევა ეკისრება საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომლებსაც მომსახურებას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწყვენ—სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, ხოლო იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომლებსაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურებას არ უწყვენ, და ერთპიროვნულ მეურნეობებში—სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს.

3. საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებანი ხორციელდება საბჭოთა მეურნეობების სავეტერინარო პერსონალის ძალებით და საბჭოთა მეურნეობების ხარჯით, ხოლო კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში—სარაიონო სავეტერინარო პერსონალის ძალებით და „სოიუზშიასის“ ხარჯით.

4. ბელელ-საწყობების მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარება დაეკისროს უშუალოდ საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომლებიც ანხორციელებენ ამ ღონისძიებათ თავიანთი ძალებით და თავიანთი ხარჯით და პასუხს აგებენ ამ ღონისძიებათა თვისებისა და თავის დროზე განხორციელებისათვის.

„ზაგოტზერნოს“ საწყობებში აღნიშნული ღონისძიებანი ხორციელდება „ზაგოტზერნოს“ ძალებით და ხარჯით.

შენიშვნა. „საქთაედაცვაავიქიმის“ გაპანადგურებელი სადგურების განყოფილების საქმიანობა ბელელ-საწყობების მავნებლებთან ბრძოლის სფეროში, რასაც სადგურები ანხორციელებენ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, შემოფარგლული იქნეს ქალ. ტფილისით, ქუთაისით, ფოთით, ბათუმით და სოხუმით.

5. კალიასთან და მინდვრის ფარვანასთან ბრძოლის ღონისძიებათ ანხორციელებს უშუალოდ სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის საქართველოს ტრესტი.

## II. ხამუშაოთა ორგანიზაცია.

6. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ცხოველების მავნებლებთან და სენთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარების საქმის დაგეგმვას, საორგანიზაციო-ოპერატიულ ხელმძღვანელობას, ინსტრუქტაჟს და კონტროლს ანხორციელებს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სა-



ხალხო კომისარიატი, სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის საქართველოს ტრესტის მეშვეობით, რომელიც ამ შემთხვევაში მოქმედობს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სპეციალური სექტორის უფლებით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—მათი ცენტრალური სამიწათმოქმედო ორგანოები—მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის საქტრესტის სამანქანო-განმანდგურებელი სადგურების მეშვეობით, რომლებიც მოქმედობენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური სამიწათმოქმედო ორგანოების სპეციალური სექტორების უფლებით.

ამა მუხლში ჩამოთვლილი ფუნქციების განხორციელება რაიონებში ეკისრებათ: სამანქანო სატრაქტორო სადგურებს—იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც ეს სადგურები მომსახურების უწყვეტ, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს—როგორც იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც ეს განყოფილებები მომსახურებას უწყვეტ, ისე ერთპიროვნულ მეურნეობებში, და სათანადო საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს—საბჭოთა მეურნეობებში.

7. მეურნეობებისათვის აპარატურისა და შხამ-მასალის მიწოდება, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ცხოველების მავნებელთა გავრცელების ბუდეების გამოაშკარავების აღნუსხვის სამსახურის მოწყობა და მათი განვითარების მსვლელობისათვის მეთვალყურეობის გაწევა და საქარანტინო სამსახური ეკისრება მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის საქტრესტს.

8. სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებანი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურნი და საბჭოთა მეურნეობანი, მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის საქტრესტის მითითებით, გამოაჭყაფენ კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში აღნუსხვის სამსახურისათვის საჭირო რიცხვს სიგნალიზატორ-კორესპონდენტებისას.

9. დაევალოს ქვემოთ ჩამოთვლილ სამეურნეო შენაერთებს—მოაწყონ 1934 წლის თებერვლის 1-თვის სამეთვალყურეო პუნქტები მავნებელთა გავრცელების დინამიკისა, მათი ეკონომიური მნიშვნელობისა, განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობისა და სხვა მისთ. შესასწავლად; პუნქტები მოწყობილ უნდა იქნეს შემდეგი რაოდენობით:

„სამტრესტის“ მიერ . . . . .	2
„საქართველოს ჩაის“ მიერ . . . . .	1
„ლიმონტრესტის“ მიერ . . . . .	1
„საქართველოს რამის“ მიერ . . . . .	1
„საქნილობოსტანკონსერვტრესტის“ მიერ . . . . .	1
„ცეკავშირის“ სას.-სამ. სამმართველოს მიერ . . . . .	1
„სატრაქტორცენტრის“ მიერ . . . . .	2
„აფთამბაქოს“ მიერ . . . . .	1
„ტაბაკსირიოს“ მიერ . . . . .	1
„საქარაქტრესტის“ მიერ . . . . .	1

„სოიუზმიისოს“ საქონტორის მიერ . . . 1

„საქმეთესლობის“ მიერ . . . . . 1

10. წინადადება მიეცეს წინა მუხლში აღნიშნულ სამეურნეო შენაერთებს— გაითვალისწინონ 1934 წლის ხარჯთაღრიცხვაში მოსაწყობი სამეთვალყურეო პუნქტების შესანახად საჭირო სახსარი; საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მითითების თანახმად.

11. დაევალოს ამა დადგენილების მე-9 მუხლში ჩამოთვლილ ყველა საბჭოთა ტრესტს და სამეურნეო შენაერთს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს—ჩაატარონ თავიანთი ძალებით და თავიანთი ხარჯით, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ წესისამებრ და ვადაზე, ყველა იმ სამეურნეო ფართობის გამოკვლევა, რომელსაც ისინი ამუშავებენ, აგრეთვე ამ ფართობების გვერდით მდებარე დაუმუშავებელი ნაკვეთებისა, იმ მიზნით, რათა გამორკვეულ იქნეს, მოდებული ხომ არ არის აქ და ცხოველებში სასოფლო-სამეურნეო მავნებლები და სხვადასხვა სენი.

III. კ ა დ რ ე ბ ი.

12. წინადადება მიეცეს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს, ტრაქტორცენტრს, „ზავოტზეროს“ საქონტორას, საბჭოთა მეურნეობებს, მეშათა მომარაგების განყოფილებებს და კოოპერატიულ მეურნეობებს—შეავსონ 1934 წელს თავიანთი შტატები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბრძოლისათვის საჭირო სპეციალისტ-აგრონომების ან ტექნიკური მომუშავეების სათანადო რიცხვით.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—განსაზღვროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, საშტატო ერთეულების რიცხვი სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებისათვის.

13. სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ცხოველების მავნებლებთან ბრძოლის საქმის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მისთ. საჭირო კადრებით უზრუნველყოფისათვის—მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის საქტრესტის ზედმეტი კადრები სპეციალისტების და ტექნიკოსებისა განაწილებულ იქნეს სარაიონო სამიწათმოქმედო-განყოფილებებსა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს შორის, კადრების დანაკლისი შევსებულ იქნეს სათანადო რიცხვის აგრონომებისა და აგროტექნიკოსების გარდაკვლილ ფიკაციით, რისთვისაც მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის საქტრესტმა უნდა მოაწყოს კურსები, ხოლო სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ეს კურსები როგორც მშენებელთა კონტინგენტით, ისე საჭირო სახსრით.



IV. შხამ-მასალით და აპარატურით მომარაგება.

14. სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ცხოველების მევენებლებთან ბრძოლისათვის საჭირო შხამ-მასალისა და აპარატურის შემოზიდვისა და მეურნეობების მომარაგების საქმეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ანხორციელებს მევენებლებთან ბრძოლის შენაერთის საქტრესტი, რომელსაც ყველა ორგანიზაცია და დაწესებულება წარუდგენს უშუალოდ თავის განაცხადს შხამ-მასალისა და აპარატურის შესახებ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადაზე.

15. დაევალოს ყველა საბჭოთა მეურნეობების შენაერთს და სამეურნეო ორგანიზაციას—დაამთავროს მევენებლებთან ბრძოლის შენაერთის საქტრესტთან ხელშეკრულების დადება შხამ-მასალისა და აპარატურის მიწოდების თაობაზე (საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული კალკულაციის საფუძველზე) არა უგვიანეს 1934 წ. იანვრის 25-ისა.

16. დაწესებულ იქნეს, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები იძენენ შხამ-მასალას და აპარატურას მათ მიერ მომსახურება-გასაწევი კოლექტიური მეურნეობებისათვის თავიანთი საბრუნავი სახსრით, რასაც შემდგომ მათ აუნაზღაურებენ კოლექტიური მეურნეობანი, ხოლო სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებები იძენენ შხამ-მასალას და აპარატურას მათ მიერ მომსახურება-გასაწევი კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის ამ მეურნეობების მიერ შესატანი მიზნობრივი გადასახდელით, რაც შეგროვილ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოების მეშვეობით.

17. დაევალოს მევენებლებთან ბრძოლის შენაერთის საქტრესტს—მოაწყოს ერთი დეკლრის ვადაზე სარაიონთაშორისო საწყობები შხამ-მასალისა და აპარატურისათვის.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—განსაზღვროს აღნიშნული საწყობების რაოდენობა და სამყოფელი აღდგოლი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათიშვილი.

1934 წ. იანვრის 19.  
ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება

44. დადგენილება ს.კ.ს.

1934 წელს სახელმწიფოხათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

„1934 წელს სახელმწიფოხათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის საბჭოს 1934 წ. იანვრის 15 ის დადგენილებისა (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 1934 წ. მე-15 №-ი) და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს სათანადო, 1934 წ. იანვრის 23-ის, დადგენილების („ხარია ვასტოკას“ 1934 წ. 24 №-ი) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო აღგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1934 წელს ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობებისათვის შემდეგი, საშუალო—ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში და მტკიცე—ამ რესპუბლიკებსა და ოლქში არშემავალ რაიონებში, ნორმები სახელმწიფოხათვის მატყლის სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარებისა განსაზღვრულ სახელმწიფო ფასად (გრამობით თვითიეულ სულზე):

რ ა ი ო ნ ე ბ ი		გაზაფხ.	შემოდგომ.	თხისა
ტფილისის	რაიონი	700	670	300
დუშეთის	"	800	500	—
ყაზბეგის	"	800	500	—
თიონეთის	"	650	550	300
საგარეჯოს	"	700	670	300
გურჯაანის	"	700	670	300
თელავის	"	650	650	300
ყვარლის	"	650	600	300
ლაგოდეხის	"	650	500	300
სიღნაღის	"	700	670	300
აღბულაზ-მანგლისის	"	650	500	300
წალკის	"	650	550	300
ყარაიას	"	700	650	300
ბორჩალოს	"	700	650	300
ლუქსემბურგის	"	650	550	300
ბაშკიჩეთის	"	700	650	300
კასპის	"	650	520	300
გორის	"	650	520	300
სტალინისის	"	650	520	300
ბორჯომის	"	650	520	300
ახალციხის	"	650	—	300
ადიგენის	"	600	—	300
ასპინძის	"	600	—	300
ახალკალაქის	"	650	420	300
ბოგდანოვკის	"	650	420	300
ხორაგოულის	"	300	200	—
კიათურის	"	300	200	—
ზესტაფონის	"	300	200	—
ჩხარის	"	300	200	—
ბაღდადის	"	300	200	—
ონის	"	300	200	—
ამბროლაურის	"	300	200	—
ცაგერის	"	300	200	—
ქუთაისის	"	300	200	—
ტყიბულის	"	300	200	—
ვანის	"	300	200	—
სამტრედიის	"	300	200	—
ხონის	"	300	200	—
სენაკის	"	300	200	—
მარტვილის	"	300	200	—
ჩხოროწყუს	"	300	200	—
ზუგდიდის	"	300	200	—
წალენჯიხის	"	400	350	—
აფხაზეთის ავტ. სსრ	"	500	350	—
აჭარის რაიონის ავტ. სსრ	"	650	350	—
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	"	650	550	300



2. დაწესებულ იქნეს 1934 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის სახელმწიფო ბუღალტერი ჩაბარების ნორმები მეცხვარეობის სასაქონლო ფერმების მქონე კოლექტიური მეურნეობების საკოლმეურნეო კომლებისათვის 20%-ით, ხოლო ყველა საკოლმეურნეო კომლისათვის 10%-ით ნაკლები იმ ნორმებზე, რაც ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებულია ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობებისათვის.

3. დაწესებულ იქნეს კოლექტიური მეურნეობების მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებისათვის და განსაზოგადოებული ფარისათვის შემდეგი ნორმები სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარებისა ნაპარსის სეზონობით (და გრამობით თვითეულ სულზე):

რ ა ი თ ნ ე ბ ი		გაზაფხულის	შემოდგომის	ბატკნისა	თხისა
ტფილისის რაიონი	.....	1.000	600	250	430
დუშეთის	"	1.100	550	250	—
ყაზბეგის	"	1.100	550	250	—
თიანეთის	"	900	550	250	430
საგარეჯოს	"	1.000	600	250	430
გურჯაანის	"	1.000	600	250	—
თელავის	"	950	600	250	430
ყვარლის	"	900	600	250	430
ლაგოდეხის	"	800	550	250	—
საღნაღის	"	1.000	600	250	430
აღბულან-მანგლისის	"	1.000	550	250	430
წალკის	"	1.000	550	250	430
ყარაიას	"	1.100	600	250	430
ბორჩალოს	"	1.100	600	250	430
ლესქემბურგის	"	1.000	600	250	—
ბაშკიჩეთის	"	1.100	600	250	430
კასპის	"	800	550	250	—
გორის	"	800	550	250	430
სტალინისის	"	800	550	250	—
ბორჯომის	"	1.000	550	250	—
აზალციხის	"	750	—	250	—
ასპინძის	"	650	—	250	—
ახალქალაქის	"	950	300	250	430
ბოგდანოვკის	"	950	350	250	430
წალენჯიხის	"	900	550	250	—
სამბურეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	.....	950	550	250	430



4. როგორც საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებისა და განსაზოგადოებრივი ფარის მთელი კოლექტიური მეურნეობების მიერ, ისე საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობების მიერ ჩასაბარებელი საგაზაფხულო და საშემოდგომო ცხვრის მატყლის და თხის მატყლის რაოდენობა განისაზღვრება იმის კვალობაზე, თუ 1934 წლის იანვრის 1-თვის ამ მეურნეობებში რამდენი სული ცხვარია და თხა ყველა ხნის ჯგუფებისა; ხოლო ჩასაბარებელი ბატკნის მატყლის რაოდენობა—იმის კვალობაზე, თუ 1934 წლის იანვრის 1-თვის რა საგაზაფხულო ნამატი (მონაშენი) იქნება მოზარდი ცხვრისა.

5. დაწესებულ იქნეს კოლექტიური მეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების შემდეგი ვადები: ცხვრის საგაზაფხულო მატყლისა და თხის მატყლისა და თიფთიკისა—1934 წ. ივლისის 15, ხოლო ცხვრის საშემოდგომო მატყლისა და ბატკნის მატყლისა—1934 წ. ოქტომბრის 15.

6. ნება დაერთოს ყველა კოლექტიურ მეურნეობას, საკოლმეურნეო კომლს და ერთპიროვნულ მეურნეობას—ვალდებულების შესრულების ანგარიშში ჩააბაროს, საშემოდგომო მატყლის ნაცვლად, საგაზაფხულო მატყლი.

7. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დააწესონ, ამა დადგენილების 1-ლი მუხლით განსაზღვრული საშუალო ნორმების მიხედვით, ცალკეულ რაიონებში სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების სხვადასხვა (დიფერენცირებული) ნორმები—ისე კი, რომ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის დადგენილი საშუალო ნორმები დაცულ იქნეს და რომ, ამასთანავე, სავსებით უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების გეგმის აღსრულება; რაიონებისათვის დაწესებული ნორმები უნდა გამოქვეყნდეს არა უგვიანეს 1934 წ. თებერვლის 5-ისა.

8. დაევალოს სირაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებლობით, ჩააბარონ თვითეულ კოლექტიურ მეურნეობას, რომელსაც განსაზოგადოებრივი ცხვრის ფარა ჰყავს, როგორც ფერმად გაფორმებული, ისე გაუფორმებელი, აგრეთვე თვითეულ საკოლმეურნეო კომლს და ერთპიროვნულ მეურნეობას, რომელსაც ცხვარი და თხა ჰყავს, საგაზაფხულო და საშემოდგომო მატყლის ჩაბარების ვალდებულება—არა უგვიანეს 1934 წ. მარტის 10-ისა და ბატკნის მატყლის ჩაბარების ვალდებულება—არა უგვიანეს 1934 წ. ივნისის 15-ისა.

9. დაევალოს სასოფლო საბჭოებს, სირაიონო აღმასრულებელი კომიტეტებსა და ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებლობით, აწარმოონ როგორც ვალდებულებათა ჩაბარებისა, ისე ყველა საკოლმეურნეო კომლის და ერთპიროვნული მეურნეობის მიერ ამ ვალდებულებათა აღსრულების მტკიცე აღნუსხვა.



10. იმ კოლექტიურ მეურნეობას, საკოლმეურნეო კომლს და ერთმეურნეულ მეურნეობას, რომელიც არ შეასრულებს კანონით დადგენილ ვადაზე თავის ვალდებულებას სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებისას, დაედება ფულადი ჯარიმა ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების რაოდენობით, და ჩასაბარებელი მატყლი ჩამოერთმევა უდავო წესით.

11. ცხვრისა და თხის ნამდვილი რიცხვის დამალვისათვის დაწესებულ იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებისა, კოლექტიურ მეურნეობათა მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების გამგეებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეების პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 63 მუხლის თანახმად).

12. კატეგორიულად აეკრძალოთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე დამშადადებელ ორგანიზაციებს კოლექტიური მეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულებათა ისეთი რაოდენობით დაკისრება, რაც აღემატება ამა დადგენილებით და მის შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით ჯანსაზღვრულ მატყლის ჩაბარების რაიონობით ნორმებს; ამათთანავე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმ ჩამბარებლებისათვის, რომელნიც შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებას სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებისას, სრული შესაძლებლობა თავისუფლად გამოიყენონ, სურვილისამებრ, თავიანთი ზედმეტი პროდუქცია.

გამოეცხადოს, წინასწარი გაფრთხილების სახით, ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას, რომ შემხვედრი გეგმების მიცემაში დამნაშავე პირნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

13. ამა დადგენილების წესით ჩასაბარებელი მატყლის მიღება (დამშადება) დაეკისროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და, მასთან ხელშეკრულების დადების წესით, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემას.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ა. ჟოფიკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათიშვილი.

1934 წ. იანვრის 29.

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 27 №-ში 1934 თებერვლის 1.

## კომუნალური და საბინაო მმართველობა

### 45. დადგენილება ს.კ.ს.

საავარაკო-საბად-ბოსტნო კოოპერაციის შესახებ.

კოოპერატიულ საფუძვლებზე საავარაკო-საბად-ბოსტნო მშენებლობის სფერო-

ში მშრომელი მასების თვითმოქმედების საორგანიზაციო ფორმების ზღვრის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. სააგარაკო-საბაღ-ბოსტნო საბინაო სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობანი ეწყობიან საბინაო კოოპერაციის შესახები კანონების თანახმად, როგორც თავის წევრთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სააგარაკო დასვენების სახით, ისე მებაღეობისა და მებოსტნეობის განსაფიოთარებლად სამრეწველო ცენტრების, დაბების და სააგარაკო-საკურორტო აღგილების მახლობლად მღებარე თავისუფალ მიწებზე.

2. კომუნალური და აღგილობრივი სამიწათმოქმედო ორგანოები მიუჩინენ წინა მუხლში აღნიშნულ ამხანაგობებს მიწის ნაკვეთებს საქალაქო (სადაბო) ან სააგარაკო-საკურორტო მიწებიდან, ან და სახელმწიფო საადგილმამულო და სატყუო ფონდებიდან სააგარაკო მშენებლობისათვის და აგრეთვე ბოსტნებისა და ბაღების გასამშენებლად იმ ოდენობით, რაც საკმარისია ამხანაგობის წევრთა და მათი ოჯახის წევრთ პირადი შრომით დამუშავებისათვის.

შენიშვნა. აღნიშნული მიწების მიჩენა არ შეიძლება იმ საადგილმამულო ფონდიდან, რაც უკვე მოცულია საბაღ-ბოსტნო კულტურებით.

3. სააგარაკო მშენებლობისათვის ამხანაგობებს მიწა ეძლევათ იმავე საფუძვლებზე, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობებს, ხოლო ბოსტნებისა და ბაღებისათვის—საიჯარო ხელშეკრულების საფუძვლებზე.

ბოსტნებისა თუ ბაღებისათვის მიჩენილი მიწების საიჯარო სასყიდელს განსაზღვრავს სათანადო საქალაქო საბჭო ან აღმასრულებელი კომიტეტი კუთვნილებისამებრ; ეს საიჯარო სასყიდელი შედის სპეციალურ ფონდში, რომელიც აღნიშნული ორგანოების გამგებლობაშია და იხარჯება სამრეწველო ცენტრების მახლობლად სააგარაკო-საბაღ-ბოსტნო კოოპერატიულ ამხანაგობათა მოსაწყობად.

4. სააგარაკო-საბაღ-ბოსტნო კოოპერატიულ ამხანაგობებს აქვთ ყველა ის შეღავათი, რაც საბინაო-სამშენებლო კოოპერაციას, მე-3 მუხლში აღნიშნული საიჯარო სასყიდლის გადახდევინების გარდა.

ამხანაგობების რეგისტრაცია სწარმოებს იმავე წესით, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა რეგისტრაცია.

5. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიებანი ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული მიწების სასწრაფოდ გამოყოფისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ა. ჟოფიაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათფიშვილი.

1934 წ. იანვრის 31.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტის“ 46 №-ში 1934 წ. თებერვლის 23.

## 46. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ქ. ქუთაისში არამშრომელი მოსახლეობის ბინების შემჭიდროების შესახებ სამხედრო უწყებისა და პედაგოგიკური ინსტიტუტის მომუშავეთა მოხატავ-სებლად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ქ. ქუთაისში საბინაო კრიზისის აღმოსაფხვრელად, რაც გამოწვეულია სასწრაფო საჭიროებით სამხედრო უწყებისა და პედაგოგიკური ინსტიტუტის მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის მისაჩენად, უფლება მიეცეს ქუთაისის საქალაქო საბჭოს, მომქმედი კანონმდებლობის ვაშლიდან, შეამჭიდროოს იმ მოქალაქეთა ბინები, რომელნიც ეკუთვნიან არამშრომელ ელემენტებს; ამასთანავე შესაძლებელია მათი ერთი ბინიდან სხვა ბინებში გადასახლება.

შენიშვნა. ამა დადგენილების წესით სახლის პატრონთა გადასახლება მათი კუთვნილი სახლებიდან არ შეიძლება.

2. ზემოაღნიშნული შემჭიდროების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს სათანადო მუხლები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 23-ის ინსტრუქციისა „რაიონებში გადაყვანილი მომუშავეების საბინაო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უზრუნველყოფის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 14, მუხ. 161).

3. ამა დადგენილებას ძალა აქვს 1934 წ. მარტის 1-მდე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. მ. ტოროშელიძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტვი.

1934 წ. იანვრის 9.

ტფილისი.

---

 უ რ მ მ ა

## 47. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებული შეკრების მომწესრიგებელი კომისიის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:  
 დამტკიცებულ იქნეს ჩვემომდევნო დროებითი დებულება საქართველოს სსრ

სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებული შეკრების მომწესრიგებელი კომისიის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ა. ჟოფიაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათიშვილი.

1934 წ. იანვრის 31.

ტფილისი.

### დროებითი დებულება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებული შეკრების მომწესრიგებელი კომისიის შესახებ.

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ყველა კატეგორიის მუშა-ძალის მოგროვების საქმის მომწესრიგებისათვის ხელის შეწყობისა, ადგილებზე მუშა-ძალის მოგროვების მომწესრიგებელი ორგანოებისათვის ხელმძღვანელობის გაწვევისა და მათი საქმიანობისათვის ზედამხედველობის განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს მუდმივი კომისია მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებული შეკრების მოსაწესრიგებლად; ეს კომისია თავის საქმიანობას ანხორციელებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საერთო ხელმძღვანელობით.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ, მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებული შეკრების მომწესრიგებელ კომისიას ეკისრება:

ა) გამოარკვიოს და განსაზღვროს საქართველოს სსრ ცალკეული რაიონებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შრომითი რესურსები—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული, სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობებისა და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქისა, ქალაქებისა და რაიონების სათანადო ორგანოების მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე;

ბ) აღრიცხოს და შეამოწმოს სამეურნეო ორგანოების განაცხადები მუშა-ძალის მოგროვების შესახებ, დამტკიცებული სახალხო-სამეურნეო გეგმების შესაბამისად;

გ) შეადგინოს მუშა-ძალის წარგზავნა-წარმოგზავნის ოპერატიული გეგმები და გამოყოს სამეურნეო ორგანოებისათვის განსაზღვრული რაიონები მუშა-ძალის მოგროვებისათვის;

დ) თვალყური ადევნოს მუშა-ძალის მოგროვებისა, გარე-სამუშაოზე გასვლისა და ორგანიზებული შეკრების მომწესრიგების საკითხებზე მთავრობის მიერ გამოცემული დადგენილებებისა, განკარგულებებისა და დირექტივების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას;

ე) გაუწიოს უშუალო ხელმძღვანელობა მუშა-ძალის მოგროვებისა და განიზებული შეკრების მომწესრიგებელი ადგილობრივი ორგანოების მუშაობას საქართველოს სსრ რაიონებში, ქალაქებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქებში;

ვ) შეიმუშაოს ღონისძიებანი არსებული მუშა-ძალის რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის; გაანაწილოს რაიონთა შორის ყველა პროფესიის ზედმეტი მუშა-ძალა სახალხო სამეურნეო მშენებლობის მოთხოვნილებათა შესაბამისად და მოაწესრიგოს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების სასეზონო მუშაობა უმწვერვალესი დაძაბულობის დროს;

ზ) შეიმუშაოს კანონპროექტები ყველა კატეგორიის მუშა-ძალის მოგროვებისა, ორგანიზებული შეკრებისა და გარე-სამუშაოზე გასვლის მოწესრიგების საკითხების შესახებ და წარუდგინოს ეს კანონპროექტები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა სააქოს დასამტკიცებლად; აგრეთვე შეიმუშაოს ცალკეული პრობლემები ზემოაღნიშნული საკითხების ხაზით;

თ) აღწესდეს და გაანაწილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტები მთავრობის დირექტივებისა და მითითების საფუძველზე;

ი) ნება დართოს—დაიბეჭდოს მუშა-ძალის საჭიროების შესახებ განცხადებანი, რასაც ორგანიზაციები აძლევენ პერიოდულ პრესას;

კ) დაამყაროს კავშირი სსრ კავშირის ცალკეულ რესპუბლიკებთან ზედმეტი მუშა-ძალის რესპუბლიკათა შორის წარგზავნ-წარმოგზავნისათვის, რაც საჭიროა სახალხო-სამეურნეო მშენებლობისა და გარე-სამუშაოზე გასვლის საკითხების მოწესრიგების მიზნით;

ლ) დააწესოს სისტემატური კონტროლი ადგილებზე მუშა-ძალის წესიერად მოგროვებისა და ორგანიზებულად შეკრებისათვის.

მ. დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ, მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებულად შეკრების მომწესრიგებელ კომისიას უფლება აქვს:

ა) დააკისროს მუშა-ძალის მოგროვების მომწესრიგებელ უწყებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და აგრეთვე ადგილობრივ ორგანოებს, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედობენ, მათი საადმინისტრაციო ქვემდებარეობის მიუხედავად, კომისიის ამოცანებიდან გამომდინარე ცალკეულ მიზნობრილობათა აღსრულება, აგრეთვე მოსთხოვოს საჭირო მასალებისა, ცნობებისა და დასკვნების წარდგენა ამ საკითხების გამო;

ბ) მოიწვიოს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, რესპუბლიკანური კონფერენციები და ყრილობები მუშა-ძალის მოგროვების მოწესრიგების საქმის მომუშავეთა და დაინტერესებული უწყებების და ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით და აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა ასეთსავე კონფერენციებსა და ყრილობებზე სსრ კავშირის ფარგლებში იმ საკითხების გამო, რაც ეხება მუშა-ძალის მოგროვებისა და გარე-სამუშაოზე გასვლის მოწესრიგების პრობლემათა გადაწყვეტას;

გ) წარუდგინოს ზემდგომ ორგანოებს სათანადო მოხსენებები იმავე საკითხებზე;

დ) განახორციელოს საერთო ხელმძღვანელობა ცალკეული უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ სწავლება-კურსების ღონისძიებათა მეშვეობით მუშა-ძალის მომგროვებელთა და ამ მოგროვების მოწესრიგების საკითხებთან უშუალოდ დაკავშირებულ პირთა კადრების მომზადების და გარდამზადების სფეროში;

ე) გააჩიოს საჩივარი და დავანი მუშა-ძალის მოგროვების მოწესრიგებისათვის არსებული კანონებისა და მთავრობის დირექტივების დარღვევის საკითხებზე;

ვ) გამოსცეს სათანადო დადგენილებები და ცირკულარები მუშა-ძალის მოგროვების მოწესრიგების საკითხებზე;

ზ) დააწესოს სავალდებულო ვადები მუშა-ძალის ანგარიშებისა და მუშა-ძალის მოგროვების განცხადების წარდგენისათვის და მუშა-ძალის მოგროვების თაობაზე ხელშეკრულებების დადებისათვის;

თ) გასცეს მანდატები და ნებართვა მუშა-ძალის ორგანიზებული შეკრეფისათვის და აგრეთვე აკრძალოს იგი კანონების დარღვევის შემთხვევაში და აძლიოს დამნაშავენი პასუხისგებაში;

ი) შეამოწმოს, რამდენად არიან მომზადებული სამეურნეო ორგანოები ორგანიზებულად შესაკრეფი მუშა-ძალის კონტინგენტების მიღებისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მხრით და დასახოს სათანადო სავალდებულო ღონისძიებანი ამ საქმის უფრო კარგად დაყენებისათვის;

კ) შეიმუშაოს და განახორციელოს, სათანადო ორგანიზაციების მეშვეობით, ყველა ის საკითხი, რაც გამოძინარეობს მუშა-ძალის მოგროვებისა, გარე-სამუშაოზე გასვლისა, ორგანიზებული შეკრეფისა, სპეციალისტების გამოყენებისა და სხვა მისთ. საკითხების შესახებ კანონებიდან და მთავრობის დირექტივებიდან და განკარგულებებიდან.

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებული შეკრეფის მომწესრიგებელი კომისია შესდგება კომისიის თავმჯდომარისა, პასუხისმგებელი მდივნისა და წევრებისაგან—შემდეგი ორგანიზაციების პასუხისმგებელ წარმომადგენელთაგან;

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვემო კომისია;

ბ) საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭო;

გ) საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი;

დ) საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველო;

ე) გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია.

მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებული შეკრეფის მომწესრიგებელი კომისიის პერსონალურ შედგენილობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

5. მუშა-ძალის მოგროვების მომწესრიგებელი კომისიის მორიგი სხდომები მოხდება არა ნაკლებ, ვიდრე ერთჯერ ორი თვის განმავლობაში, ხოლო არა-



მორიგი სხდომები დაინიშნება კომისიის თავმჯდომარის შეხედულებისამებრ კითხვის ხასიათისა და სისწრაფის მიხედვით.

6. მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებული შეკრების მომწესრიგებელი კომისიის დადგენილებათა და განკარგულებათა აღსრულება ეკისრება. მის ორგანოებს, რომელნიც მოეწყობიან საქართველოს სსრ შედგენილობაში შემაღალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და აგრეთვე საქალაქო საბჭოებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან.

7. მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებული შეკრების მომწესრიგებელი კომისიის დადგენილებანი და განკარგულებანი საბოლოოა, და მათი გაუქმება შეუძლია მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზედამხედველობის წესით.

8. მუშა-ძალის მოგროვებისა და ორგანიზებული შეკრების მომწესრიგებელი კომისიის შესანახი ხარჯები მიეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხარჯთაღრიცხვით.

9. კომისიას აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

## ქორწინება, ოჯახი, მუშაობა

### 48. დადგენილება ც. ა. კ.

**მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურისა და შტაბების შესახებ.**

იმ მიზნით, რათა გაუმჯობესებულ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოების მუშაობა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისა და საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის პრაქტიკული განხორციელების სფეროში სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებთან, მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ადგილობრივი ორგანოებისათვის ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის გასაწევად, დაარსდეს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი („მმაჩ“-ის) განყოფილება სამი მომუშავეს შემადგენლობით: გამგე, ინსტრუქტორი, არქივარიუსი (იგივე საქმისმწარმოებელი).

2. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან დაარსდეს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერის საქმის („მმაჩ“-ის) სარაიონო ინსპექტორის თანამდებობა, რომელსაც დაევალება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების



რეგისტრაციის ხელმძღვანელობა რაიონის სასოფლო და საქალაქო საბჭოებში, სააქტო დავთრების არქივის გამგებლობა, სააქტო დავთრებში შეტანილი ჩანაწერების შესწორება საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის 126 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ და სახელისა და გვარის გამოცვლის საქმეების წარმოება.

3. ტფილისის საქალაქო საბჭოსთან დაარსდეს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი („მმაჩ“-ის) ბიურო სამი მომუშავეს შემადგენლობით: გამგე, არქივარიუსი, საქმის მწარმოებელი, რომელსაც დაევალება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ხელმძღვანელობა ტფილისის სარაიონო საბჭოებში და სახელისა და გვარის გამოცვლის საქმეების წარმოება.

დანარჩენ საქალაქო საბჭოებში მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისათვის დაარსებულ იქნეს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი („მმაჩ“-ის) განყოფილებები მომუშავეთა შემადგენლობით 2-დან 3-მდე (გამგე, საქმისმწარმოებელი, არქივარიუსი), ან მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერის საქმის („მმაჩ“-ის) საქალაქო ინსპექტორი.

შენიშვნა. საკითხს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი („მმაჩ“-ის) განყოფილების ან საქალაქო ინსპექტორის თანამდებობის დაარსებისა და „მმაჩ“-ის განყოფილების მომუშავეთა რიცხვის განსაზღვრის შესახებ, ამა მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ ფარგლებში, სწყვეტს, მუშაობის რაოდენობის მიხედვით, სათანადო საქალაქო საბჭო, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ორგანოსთან შეთანხმებით.

4. ქალაქ ტფილისის სარაიონო საბჭოებთან დაარსდეს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი („მმაჩ“-ის) განყოფილებები სამი მომუშავეს შემადგენლობით: გამგე, არქივარიუსი და საქმისმწარმოებელი. ამ განყოფილებებს დაევალება ყველა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტის რეგისტრაცია, გარდა სახელისა და გვარის გამოცვლის აქტებისა.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1934 წ. იანვრის 19.

ტფილისი.

### შეცდომის გასწორება

კან. კრ.	ჯგერლი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
1933 წ.	622	26	ბ) აწერის თანხის 5 <sup>0</sup> / <sub>6</sub> , როდესაც ნარჩენი უნდა გადახდეს სხვა კატეგო- რიის მენარჩენეთ.	ბ) ნარჩენის თანხის 5 <sup>0</sup> / <sub>6</sub> , როდესაც ნარჩენი უნდა გადახდეს სხვა კატეგო- რიის მენარჩენეთ.
№ 23				

ფასი 40 კაბ.

გამომცემელი საქ. სსრ ს.კ. ს.-ის 1934 წ. № 3. პ/მ რედაქტორი მ. გამრეკელი  
საქმეთა მმართველობა

ქალაქის ფორმატი 62×94 სანტ.; 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი  
გადაეცა სტამბას 14/II. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/IV. ტირაჟი 1.600.

მთავლიტი ს. № 8. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 385.